ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 313

"16" ივლისი 2022 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ი. აბაშიძის ქ. №24-26-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 337 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ტერიტორიიდან (ს/კ. 01.14.11.030.044) 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნამუსთვის" (ს/ნ. 405269301) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქ. №24-26-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 337 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ტერიტორიიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.030.044) 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნამუსთვის" (ს/ნ. 405269301) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 28 ივნისის №22.981.1056 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ი. აბაშიძის ქ. №24-26-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 337 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ტერიტორიიდან (ს/კ. 01.14.11.030.044) 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნამუსთვის" (ს/ნ. 405269301) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2160 (ორი ათას ას სამოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე